საქართველოს ინტერნეტიზაცია - არსებული მდგომარეობა, გამოწვევები და რისკები ბაზრისთვის

2015-2020

უჩა სეთური 2015

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ICT -ს ფართოზოლოვანი მიმართულება და გაეროს ათასწლეულის გამოწვევის მიზნები

უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა - GDP-ს ზრდა , სამუშაო ადგილების და შემოსავლის ზრდა

დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა მთელს მსოფლიოში - უნივერსალური კომპიუტერიზაცია, მინიმალური შეერთების პარამეტრების დადგენა, ელექტრონული განათლების სისტემის დანერგვა

გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა - ინტერნეტთან კავშირის გაზრდა, ე.წ. Tele-working-ის და distance working-ის რეგულაცია

ჯანდაცვითი საკითხები- ფართოზოლოვანი კავშირით და აპლიკაციებით დრაივერების კონტროლი, ასევე ონლაინ კონტროლი პრობლემური მიმართულებების კონკეტული ქვეყნის გამოწვევების მიხედვით

ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა - კომერციული სერვისების გაზრდა და ე.წ. ფართოზოლოვანი ხიდების, ელექტრონული კომერციის მოცულობის ზრდის და სხვა მიმართულებით

მსოფლიო თანამშრომლობის ჩამოყალიბება განვითარებისთვის - ფართოზოლოვანი განვითარება სახელმწიფო და კომერციული ონლაინ სერვისების საყოველთაო ხელმისაწვდომობისათვის, **მედიის ხელმისაწვდომობის და სხვადასხვა სოციალურ პროექტებში ჩართულობის ამაღლებისთვის** და სხვა

ევროკავშირის „2020 ციფრული ინიციატივა“ და ე.წ. 13 „ფართოზოლოვანი“ ამოცანა

- **2015**

მოსახლეობის **50%** უნდა ყიდულობდეს ონლაინ, ხოლო **20%** უნდა ყიდულობდეს ონლაინ სხვა ქვეყანაში

მცირე და საშუალო საწარმოების **33%**-მა მათი მომსახურების და პროდუქტების შესყიდვა უნდა გახადონ ელექტრონულად ხელმისაწვდომი

ინტერნეტის ყოველდღიური მოხმარება უნდა გაიზარდოს **60%**-დან **75%**-მდე, ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს მოკლებულ პირებს შორის უნდა გაიზარდოს **41%**-დან **60%**-მდე;

30%-დან **15%**-მდე უნდა შემცირდეს იმ მოსახლეობის რაოდენობა რომელსაც არასდროს გამოუყენებია ინტერნეტი

მოსახლეობის **50%** უნდა იყენებდეს ელექტრონული მთავრობის **(e-Government)** იმ სერვისებს, რომელიც **2015** წლამდე არა ელექტრონულად იწარმოებოდა

- **2020**

სრული ფართოზოლოვანი დაფარვა **30** მბ/წმ ინტერნეტით, მოსახლეობის **50%**-ს უნდა ჰქონდეს **100** მბ/წმ -იანი ინტერნეტი

უნდა გაორმაგდეს საზოგადოებრივი ინვესტიციები ინფო საკომუნიკაციო სფეროს კვლევით და განვითარებით სფეროებში

განვითარებული ქვეყნების მიდგომები პროცესის დაგეგმვისას

- არსებული პრობლემების გააზრება
- კერძო და საჯარო სექტორის გრძელვადიანი და საშუალო ვადიანი საჭიროებების განსაზღვრა

ბოლო მომხმარებლის მხარეს და მომსახურების მიწოდების მხარეს არსებული მდგომარეობის და პოტენციალის განსაზღვრა



ძლიერი მხარეები

- მცირე დასაფარი ტერიტორია
- ქალაქებში განვითარებული ფართლზოვანი ინფრასტრუქტურა
- მობილური ტექნოლოგიების და ქსელის განვითარების მაღალი დონე
- ოპტიკური მაგისტრალური ქსელი
- ევროკავშირის მოთხოვნებთან დიდწილად ადაპტირებული კანონმდებლობა
- ფართოზოლოვანი ინტერნეტი მომხმარებლების რაოდენობის სტაბილური ზრდა და მიგრაცია ოპტიკური ტექნოლოგიისკენ
- ელექტრონული სახელმწიფის მიმართულებით დაანონსებული ღონისძიებების მასშტაბები
- ელექტრონული კომერციის ბაზრის და მულტიმედიურ სერვისებზე მოთხოვნის სტაბილური ზრდა
- **ITU-** ს და სხვა საერთოაშორისო ორგანიზაციების მაჩვენებლების დადებითი ტენდენცია
- ნაწილობრივ დარეგულირებული ბაზრები
- ქვეყნის ტრანზიტული ფუნქცია

სუსტი მხარეები

- საინვესტიციო ხარჯების სიმცირე რეგიონებში და რეგიონების ფართოზოლოვანი ჩამორჩენა
- რთული გეოგრაფიული რელიეფი
- მონოპოლისტების არსებობა ბაზარზე და შესაბამისი რისკები ბაზარზე
- სახელწმიფოს ელექტრონული სერვისების ერთიანი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის არარსებობა
- ფართოზოლოვანი ინტერნეტის დაბალი მოთხოვნა და შემოსავლები რეგიონებში
- მოსახლეობის დაბალი ფართოზოლოვანი ინფორმირებულობა
- არალეგალური კონტენტი, ქსელის და მომხმარებლის კიბერუსაფრთხოების დაცვის, მისი საჭიროების აღქმადობის დაბალი დონე
- ტერმინალური მოწყობილობების კონცენტრაციის პრობლემები
- ინფრასტრუქტურული არაკოორდინირებული განვითარება, ინფრასტრუქტურის დუბლირება და დაშვების ფასი
- ელექტრონული სერვისების მიმართ მოსახლეობის დაბალი ნდობა და დაბალი მოხმარება

ეროვნული ფართოზლოვანი გეგმის არარსებობით გამოწვეული პრობლემები

- ერთიანი გეგმის და კოორდინაციის არარსებობა
- პროცესის მიმართ ნდობის ნაკლებობა
- კორუფციის და არაკონკურენტული ბაზრის მაღალი რისკები
- პროცესის მონიტორინგის შეუძლებლობა და მისი ჩავარდნის და ხარვეზების წინასწარ შეფასების, ასევე შედეგების არაპროგნოზირებადობა
- რესურსების დუბლირება და არაეფექტური ხარჯვა, ცალკეული უწყებების ინფრასტრუქტურული და პროგრამული პროექტების სიძვირე
- რეგიონების და სოციალურად დაუცველი, ასევე მცირე შემოსავლიანი მოქალაქეების და ბიზნეს ორგანიზაციების დისტანცირება
- **გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი საინვესტიციო გარემო**

ქვეყნები რომლებსაც არ აქვთ ფართოზოლოვანი განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

- მალი
- მავრიტანია
- ნაურუ
- ნიკარაგუა
- სიერა-ლეონე
- სომალი
- სურინამი
- სვაზილენდი

- ვენესუელა
- ბოლივია
- კამერუნი
- დომინიკა
- სალვადორი
- ჩრდილოეთ კორეა
- გვატემალა
- გვინეა ბისაუ
- ჰაიტი
- ტუვალუ

- საქართველო
- ტაჯიკეთი
- თურქმენეთი
- ირანი
- სირია
- უზბეკეთი

ITU source 2014

სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული მოდელი - ახალი მოთამაშე ბაზარზე?

ეკონომიკის სამინისტრო

GNCC

GITA

OPENNET

- კერძო სამართლის იურიდიული პირი **დაფუძნებელია სახელმწიფოს მიერ**
- საბითუმო დაშვების ბაზრის სეგმენტი
- კერძო გრანტი
- დაბალი ტარიფები და ე.წ. „ღია დაშვების“ შეპირება

IDFI-ს რეკომენდაციები საქართველოს ფართოზოლოვანი განვითარებისთვის სტრატეგიისთვის

- დაინტერესებული პირების ჩართულობა
- ერთობლივი კომისიის შექმნა ფართოზოლოვანი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის და მისი რეალიზაციის ზოგადი გეგმის შესამუშავებლად
- საქართველოს გრძელვადიანი განვითარების ფართოზოლოვანი სტრატეგიაში ასახული უნდა იყოს როგორც ყველა სახელმწიფო უწყების და ორგანიზაციის, ასევე კერძო სექტორის ინტერესებში შემავალი მიმართულების განვითარების გრძელვადიანი მიზნები
- გეგმის შემუშავება უნდა მოხდეს არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე
- თითოეულ მიმართულებაზე და აქტივობაზე უნდა განისაზღვროს პასუხისმგებელი უწყება და უნდა მომზადდეს კვარტალური ღია ანგარიშები გეგმის და სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ
- გეგმის შემუშავება უნდა მოხდეს საკონსულტაციო დოკუმენტის წარმოდგენით ღია და დახურულ ჯგუფებში განსახილველად
- პროცესში უშუალოდ უნდა ჩაერთოს კომერციული სექტორი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, ასევე სამოქალაქო საზოგადოება და ყველა დაინტერესებული პირი.
- პროცესი უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე და ყველა მომზადებული დოკუმენტის გეგმა და პროექტი ასევე უნდა იყოს ღია